12/09/2025

MES 1 25 0001130770

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები**:

**ეკატერინე წიფურია** - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

**თამარ მამსიკაშვილი** - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**ნინო ბერიკაშვილი** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;

**პეტრე ბაბილუა** - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

**დავით მალაზონია**- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის"დირექტორი, საბჭოს წევრი;

**მანანა თურქაძე** - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

**ნონა ჩუბინიძე** - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;

**დავით კახნიაშვილი** - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

**ეკატერინე გურგენაშვილი** - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;

**ირმა ამირანაშვილი** - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

**კახაბერ ჩაკვეტაძე** - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

**თეა სვიმონიშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

**ქეთევან ნატროშვილი** - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

**2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნია გრიგალაშვილი-** ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**ქეთი მუთიძე** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა:**
მერაბი ჭოხონელიძე - სკოლის დირექტორი
**შპს სკოლა ახალი თაობა:**
ანა უსტიაშვილი - სკოლის დირექტორი;
სალომე ზარქუა - სკოლის იურისტი.
**სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვენატკოცის საჯარო სკოლა:**
ცირა თურმანიძე - სკოლის დირექტორი
**სსიპ- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სამების საჯარო სკოლა:**
მარინა თედორაძე - სკოლის დირექტორი
**სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დვირის საჯარო სკოლა:**
ირინე ქობესაშვილი - სკოლის დირექტორი
**სსიპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანის №2 საჯარო სკოლა:**
ნანა ბაკურიძე - სკოლის დირექტორი
**სსიპ-სეიდ გვარიშვილის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლა:**
ლეილა ლორთქიფანიძე - სკოლის დირექტორი

**4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):**

**შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა:**
ა) მერი ქვრივიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თეა თავაძე - ასათიანი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

**შპს სკოლა ახალი თაობა:**
ა) ნოდარ ანგურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ანა კოკოჩაშვილი-ახვლედიანი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვენატკოცის საჯარო სკოლა:**
ა) ელისო ლოლაშვილი - მერებაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ თაბუაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ინგა ლომაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო მიმინოშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მარინე შანშიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა ჭავჭანიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ყანჩაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლანა არახამია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლია სვიმონიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) თამარ ზედგინიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სამების საჯარო სკოლა:**

ა) ეთერ მეტრეველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ეკა თაბუაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თამარ ბერიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო ფორჩხიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ინგა გოგალაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ინგა კაჭარავა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მაია მენაბდე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მაკა ყიფშიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დვირის საჯარო სკოლა:**
ა) ლელა ჯაში (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარი კვანტიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირმა თოდიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნანა მარღანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიო მურუსიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლილი კაცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ლია ცერცვაძე-ცუცქირიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) გიორგი ბერძულიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ნინო კოვზიაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანის №2 საჯარო სკოლა:**
ა) მედეა ქოქრაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო შუბლაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მალხაზ შატბერაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ხათუნა წიკლაური (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ლამარა დარახველიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ჟანა ბელქანია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მაკა ინაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**სსიპ-სეიდ გვარიშვილის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლა:**
ა) ლელა გორდულაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამთა კამკამიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო გოგორელიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო კილაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თამთა პეტრიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნატო შაინიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თემური კურცხალია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თ) გურამ ბურდილაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო საღარაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 01 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:**

1.შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
2.შპს სკოლა ახალი თაობის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
3.შპს სკოლა ახალი თაობის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
4.სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვენატკოცის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5.სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სამების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6.სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დვირის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7.სსიპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8.სსიპ - სეიდ გვარიშვილის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

**1. შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ექსპერტმა, მერი ქვრივიშილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 24 ივლისს. ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადი.

ექსპერტის თქმით, დაწესებულების განაცხადითმოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრილი რაოდენობა იყო 1200. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი, გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ ეტაპზე, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, სკოლას ჰქონდა შესაძლებლობა საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 900 მოსწავლისთვისსკოლას ზღვრული რაოდენობის გაზრდა სურდა მეორე ცვლის ხარჯზე (მხოლოდ XI-XII კლასებისათვის), ვინაიდან სკოლა ერთ ცვლაში არსებული რესურსით ვერ უზრუნველყოფდა 900 მოსწავლეზე მეტის მომსახურებას, ექსპერტთა ჯგუფი მხოლოდ ორი ცვლის პირობებში ეთანხმებოდა 1200 მოსწავლის განსაზღვრას.

ექსპერტის, მერი ქვრივიშვილის, განმარტებით, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან, კომპონენტი 3.1 (პერსონალის მართვა) შეფასდა შეუსაბამოდ. მისი თქმით, სკოლას არ ჰყავდა ვაკანტურ ადგილზე მასწავლებელთა შესარჩევ საკონკურსო შემადგენლობაში შეყვანილი მოწვეული წევრი.

ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელიც აღწერილი იყო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლაში ხორციელდებოდა არაფორმალური განათლების მიმართულებით სხვადასხვა პროექტი, ინტეგრირებული და შემოქმედებითი აქტივობები. მისი თქმით, სკოლას ჰყავდა ურთიერთდახმარებაზე და განვითარებაზე ორიენტირებული გუნდი.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ჰქონდა საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორია, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, ექიმის ოთახი, ადაპტირებული სველი წერტილი.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, თუ როგორ უზრუნველყოფდა სკოლა მე-6 სართულზე განთავსებული სპორტული დარბაზის ხელმისაწვდომობას, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა ადაპტირებული გარემო. საბჭოს თავმჯდომარე ასევე, დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას ექიმი.

სკოლის დირექტორმა, მერაბ ჭოხონელიძემ, აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა საკმაოდ კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი. მისი თქმით, სკოლას არ ჰყავდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლე, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ეყოლებოდათ, მოაწყობდნენ მოძრავ პანდუსს, რომლის რესურსიც ჰქონდა სკოლას. ექიმთან დაკავშირებით განმარტა, რომ სკოლას ჰყავდა ორი ექიმი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და 1200-ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 14:15
**დასრულების დრო** - 14:20

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლას (ს/კ: 412725573) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200-ით.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 და მე-3 საკითხები გაერთიანებულ ფორმატში განიხილებოდა, რადგან შეეხებოდა ერთი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხებს.

**2. შპს სკოლა ახალი თაობის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხების განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 04 და 05 აგვისტოს. ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების განაცხადები.
ექსპერტის თქმით, დაწესებულებას ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება სურდა ქალაქ თბილისში, ნადიკვარის დასახლება, ნადიკვარი N34-ის მიმდებარედ. ხოლო თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობა იყო 858. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 858 მოსწავლისთვის.
ექსპერტის თქმით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის შესრულების შემოწმება (მე-3 სტანდარტი -სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა), რომელიც შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა. მისი თქმით, დაწესებულებამ ააშენა ორი ახალი შენობა, რომელთაგან ერთში სურდა განეხორციელებინა მხოლოდ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ხოლო მეორეში საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გარემო, სამედიცინო ოთახი აღჭურვილი ყველა საჭირო რესურსით. ნოდარ ანგურიძემ განმარტა, რომ ვიზიტის დროს სკოლაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, რომელიც ამ ეტაპზე თითქმის დასრულებული იყო.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, სასწავლო წლის დაწყებამდე, რომელიც სამინისტროსთან შეთანხმების მიხედვით იწყებოდა 01 ოქტომბერს, მოასწრებდნენ თუ არა სარემონტო სამუშაოების დასრულებასა და შენობების მოწესრიგებას.
სკოლის დირექტორმა, ანა უსტიაშვილმა, აღნიშნა, რომ სარემონტო და დასუფთავების სამუშაოები სკოლაში უკვე დასრულებული იყო, სკოლა მზად იყო მოსწავლეების მისაღებად და სასწავლო პროცესის დასაწყებად.
საბჭოს წევრი დავით მალაზონია დაინტერესდა, რა მდგომარეობა იყო სკოლის ეზოსა და შენობებთან მისასვლელ გზასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორის განმარტებით, ერთი შენობიდან მეორე შენობაში გადასასვლელი ბილიკების დაგება უკვე დასრულებული იყო სკოლის ეზო იყო შემოღობილი, გამწვანებული და სკოლასთან მისასვლელი გზა დაგებული.
საბჭოს წევრი ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა, გამოცხადებულ 6 ვაკანსიაზე თუ აიყვანეს მასწავლებლები და რამდენი მოსწავლე მიიღო სკოლამ პირველ კლასში.
სკოლის დირექტორმა, ანა უსტიაშვილმა, განმარტა, რომ მიმდინარე წელს პირველკლასში მიიღეს 49 მოსწავლე და დაკომპლექტდა სამი პარალელური კლასი, ხოლო მასწავლებლებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დასრულებული იყო შერჩევის პროცესი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

**1.შპს სკოლა ახალი თაობი სმიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების საკითხი.**
**2.შპს სკოლა ახალი თაობის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და 858-ით განსაზღვრის საკითხი.**

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 14:41
**დასრულების დრო** - 14:45

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

**1. გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ $25^2$ -ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, განხორციელდეს შპს სკოლა ახალი თაობის (ს/კ: 406242123) მიერ ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის მისამართის ცვლილება.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები შემდეგ მისამართზე:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქალაქი თბილისი, ნადიკვარის დასახლება, ოქროყანა, ნადიკვარის 34-ის მიმდებარედ. |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქალაქი თბილისი, ნადიკვარის დასახლება, ოქროყანა, ნადიკვარის 34-ის მიმდებარედ. |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ქალაქი თბილისი, ნადიკვარის დასახლება, ოქროყანა, ნადიკვარის 34-ის მიმდებარედ. |

**2. გადაწყვეტილება:**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, შპს სკოლა ახალ თაობას (ს/კ: 406242123) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 858-ით.

**3. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვენატკოცის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვენატკოცის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 09 და 10 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 460. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 460 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს), ხოლო, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო ადაპტირებული და კეთილმოწყობილი გარემო, ჰქონდა ლიფტი, გარე სპორტული მოედანი, შიდა სპორტული დარბაზი, ექიმის ოთახი და სხვა. აქვე,

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის ეზოში იყო ტაძარი, რომელიც ფუნქციონირებდა მხოლოდ შაბათ-კვირას.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა ექსპერტს, დაეზუსტებინა, დასკვნაში ასახეული მოცემულობიდან გამომდინარე, რა იგულისხმებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვაში. ასევე, გაითვალისწინა თუ არა სკოლამ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია მოსწავლეთა ჩარიცხვასთან დაკავშირებით.
ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა, აღნიშნა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის სივრცე სკოლას გამოყოფილი ჰქონდა, თუმცა ესაჭიროებოდა სრული აღჭურვა, მათ შორის რეაქტივები, ამწოვი კარადა და სხვა.
სკოლის დირექტორმა, ცირა თურმანიძემ, აღნიშნა, რომ სკოლაში უკვე იყო ორი პარალელური მე-5 კლასი და სკოლას გათალისწინებული ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რეკომენდაცია მოსწავლეთა ჩარიცხვასთან მიმართებით.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალური მასწავლებელი.
სკოლის დირექტორის, ცირა თურმანიძემ, აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა სპეციალური მასწავლებელი. აქვე, საბჭოს წევრმა სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები განახლებული ფორმატით შეედგინათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვენატკოცის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 460 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 15:01
**დასრულების დრო** - 15:06

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-$2^1$ და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვენატკოცის საჯარო სკოლას (ს/კ: 240890871) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 460 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის | ზოგადსაგანმანათლებლო | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | საფეხური | პროგრამის განხორციელების ენა | (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქარელის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვენატკოცა |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქარელის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვენატკოცა |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ქარელის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვენატკოცა |

**საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:**

2025 წლის სექტემბერში 4.1 კომპონენტთან მიმართებით, მოსწავლის კანონმდებლობის შესაბამისად ჩარიცხვის, 2026 წლის სექტემბერში 2.2 და 3.4 კომპონენტთან მიმართებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, ხოლო 2027 წლის სექტემბერში შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

**5. სსიპ- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სამების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ეთერ მეტრეველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სამების საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 04 და 05 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 150. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 150 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ეთერ მეტრეველმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა „მეტწილ“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი „ნაწილობრივ“ შესაბამისად.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ სკოლაში იყო ადაპტირებული გარემო, ჰქონდა შიდა სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, ექიმის ოთახი. მისი თქმით, ვიზიტის დროს სკოლაში იყო საპირფარეშოების პრობლემა, თუმცა, არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ გამოასწორა აღნიშნული.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან გამომდინარე, დაინტერესდა რა მდგომარეობა იყო მასწავლებლების შერჩევასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორის, მარინა თედორაძის განმარტებით, სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია ტექნოლოგიების მასწავლებელზე, თუმცა, ვერ შეირჩა შესაბამისი კვალიფიციური კადრი.
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი დაინტერესდა, რა ვითარება იყო სხვა მასწავლებლების დასაქმებასთან დაკავშირებით, ასევე, რა ნაბიჯები იქნა გადადგმული პანდუსის ან ლიფტის მოსაწყობად.
სკოლის წარმომადგენლის თქმით, დაწყებით კლასებში სპორტს ასწავლიდა სპორტის კვალიფიციური მასწავლებელი, ქართულ ენასა და ლიტერატურის მასწავლებელზე კი, გამოცხადებული ჰქონდათ შიდა კონკურსი. მისივე განმარტებით, პანდუსის მოწყობასთან დაკავშირებით მათ მიმართული ჰქონდათ შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის.
საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტს, კურიკულუმებთან დაკავშირებით მეტი დეტალი გაეცნო საბჭოსთვის. მისი თქმით სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკვეთებოდა გარკვეული ხარვეზები.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა, ნინო ფორჩხიძემ, აღნიშნა, რომ თავდაპირველად გადმოგზავნილ კურიკულუმებში ფიქსირდებოდა ჰქონდა ხარვეზი, მათ შორის, მე-11 კლასის კურიკულუმს სათაურად ჰქონდა მე-10 კლასის კურიკულუმი და ა.შ. სკოლამ აღნიშნული ვიზიტის პერიოდშივე გამოასწორა. მისი თქმით, სკოლის მიმართ გაიცა რჩევები და სკოლას ჰქონდა მზაობა ყველა რჩევისა და რეკომენდაციის გათვალისწინებისთვის.
საბჭოს წევრი, მანანა თურქაძე, დაინტერესდა რა საგანს ასწავლიდა სკოლის დირექტორი და რამდენი საათი ჰქონდა დათმობილი.
სკოლის დირექტორის თქმით, იგი ასწავლიდა სამოქალაქო განათლებას, ჩაბარებული ჰქონდა შესაბამისი გამოცდა და ჰქონდა 10 საათი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სამების საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 15:20
**დასრულების დრო** - 15:24

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და 27 მუხლის მე-4 პუნქტების შესაბამისად, სსიპ- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სამების საჯარო სკოლას (ს/კ: 246998511) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა სამება. |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა სამება. |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა სამება. |

**საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:**

***მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:***
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები.

**6. სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დვირის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ჯაშმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დვირის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 18 და 19 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 300. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 300 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) შეფასდა „მეტწილად“, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, პირველ სტანდარტთან გაცემული რეკომენდაციის კუთხით რა ნაბიჯები ჰქონდა სკოლას გადადგმული.

სკოლის დირექტორის, ირინე ქობესაშვილის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებზე დაწყებული ჰქონდათ მუშაობა.

საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, როგორ იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია აღჭურვილი. ასევე, განხორციელდა თუ არა კურიკულუმების რევიზია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის, ირმა თოდიძის განმარტებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია იყო ნაწილობრივ აღჭურვილი და გასცა რჩევა მის სრულად აღჭურვასთან დაკავშირებით. აქვე, სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ განახორციელეს კურიკულუმების რევიზია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დვირის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 15:36
**დასრულების დრო** - 15:42

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2; მე-2[1], მე-3 და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დვირის საჯარო სკოლას (ს/კ: 226157510) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფელი დვირი |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფელი დვირი |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფელი დვირი |

**საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:**

*მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:*
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტები.

**საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:**

2026 წლის სექტემბერში 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის რედაქტირების, დაწყებით საფეხურზე კანონმდებლობით დადგენილი წესით მასწავლებლის დასაქმების, შეთანხმებული და დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნისა და 2027 წლის სექტემბერში შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

**7. სსიპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მედეა ქოქრაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანის №2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 23 და 24 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 400. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 400 მოსწავლისთვის ორ ცვლაში.
ექსპერტმა, მედეა ქოქრაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა სკოლის შენობა იყო თუ არა ახლადრეაბილიტირებული, რამდენი მოსწავლე ჰყავდა სკოლას და მათგან რამდენი იყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე.
ექსპერტმა, მედეა ქოქრაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის შენობა იყო ახლად გარემონტებული, ჰყავდა 222 მოსწავლე, მათგან მხოლოდ ერთი იყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 15:58
**დასრულების დრო** - 16:03

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-$2^1$ და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანის №2 საჯარო სკოლას (ს/კ: 224617519) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის | დაწყებითი | ქართული | ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო ალვანი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | | | |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო ალვანი |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო ალვანი |

**საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:**

2027 წლის სექტემბერში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, საევაკუაციო გეგმის, სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნისა და საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

**8. სსიპ - სეიდ გვარიშვილის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა გორდულაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - სეიდ გვარიშვილის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალასსაჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 23 და 24 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 300. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 300 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა არაფორმალური განათლების ხელშეწყობას, დაწყებით საფეხურზე წარმატებით ფუნქციონირებდა მოსწავლეთა თეატრალური კლუბი „მერცხლები“ და კოლეჯთან „ბლექსი“ გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში VII-XI კლასების მოსწავლეებმა სკოლაში გაიარეს პროფესიული უნარების კურსი გიდის პროფესიასა და სამკერვალო საქმეში. ასევე, აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის დაფინანსებით

კონკურსში „ჭკვიანი ფერმა ჩვენს სკოლაში“ გაიმარჯვა სკოლის პროექტმა და სკოლის ეზოში აშენდა სათბური, მოეწყო ხელოვნური მორწყვის სისტემა, ასევე, სკოლაში ისწავლებოდა არჩევითი საგანი „მეწარმეობის საფუძვლები“.
ექსპერტმა, ლელა გორდულაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივ“ შესაბამისად.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში იყო თუ არა ამწოვი კარადა , წყალი და ცეცხლგამძლე მაგიდა. ასევე, გამოასწორა თუ არა სკოლამ 3.6 კომპონენტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციები.
ექსპერტმა, ლელა გორდულაძემ, აღნიშნა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში იყო წყალი და ცეცხლგამძლე მაგიდები, თუმცა არ იყო ამწოვი კარადა.
სკოლის დირექტორმა, ლეილა ლორთქიფანიძემ, აღნიშნა, რომ 3.6 კომპონენტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია გათვალისწინესდა ყველა საჭირო ინფორმაცია განთავსებული იყო ვებ-გვერდზე. აქვე, დასძინა, რომ მოპოვებული ჰქონდათ შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაზე ჰქონდათ მიმართვა, ასევე, ლიფტისა და პანდუსის მოწყობასთან დაკავშირებით სკოლამ მიმართა შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოს.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოვლენილი გარემოებიდან გამომდინარე, დაინტერესდა, ვინაიდან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია მდებარეობდა მე-4 სართულზე, როგორ ხდებოდა მისი ხელმისწავდომობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის.
სკოლის დირექტორის თქმით, მოსწავლეებს გადაადგილებაში ეხმარებოდა ასისტენტ მასწავლებელი.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას იმის შესაძლებლობა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია განეთავსებინა პირველ სართულზე.
სკოლის დირექტორის განმარტებით პირველ სართულზე შესაბამისი სივრცე არ იყო ხელმისაწვდომი.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტს, კურიკულუმებთან დაკავშირებით მეტი დეტალი გაეცნო საბჭოსთვის.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის, ნინო კილაძის თქმით, თავდაპირველად გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში ფიქსირდებოდა ხარვეზი, თუმცა მასწავლებლებმა გასაუბრების შემდგომ გადმოაგზავნეს განახლებული და მეტად დახვეწილი კურიკულუმები. ექსპერტთა ჯგუფს გარკვეული რჩევები გაცემული ჰქონდა კურიკულუმების მიმართულებით.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, აქვე აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით კურიკულუმებსა და ტესტური დავალების იდეებს ესაჭიროებოდა რევიზია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ-სეიდ გვარიშვილის სახელობის ქობულეთის სოფელ ხალას საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 16:21
**დასრულების დრო** - 16:27

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-$2^1$ და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ-სეიდ გვარიშვილის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლას (ს/კ: 246994409) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხალა |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხალა |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხალა |

**საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:**

2027 წლის სექტემბერში, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტებთან მიმართებით, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმების,შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის ,

ადაპტირებული გარემოს მოწყობის და skolebi.emis.ge-ზე ინდიკატორით გათვალისწინებული ყველა ინფორმაციის განთავსების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 16:30 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე